ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №61 სხდომის ოქმი

2012 წლის 28 მაისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ნინო ჯავახიშვილის წარდგინება ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ჟანა ეხვაიასათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ნინო ჯავახიშვილის წარდგინება ბიოქიმიისა და ნეირობიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ლელა ჩილაჩავასათვის სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტის, ვადიმ ლისოვსკის განცხადების განხილვა პოლონეთში მგზავრობის დაფინანსებასთან დაკავშირებით;
4. სამართლის ფაკულტეტზე „კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა“ და „ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების ცენტრის“ შექმნისა და დებულებების განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
5. ბიზნესის ფაკულტეტზე ცენტრის - „ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისი“ შექმნის განხილვა;
6. ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ თამარ ცოფურაშვილის განცხადების განხილვა ანალიზური ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში „პიროვნული კომუნიკაციური რესურსების ცენტრის“ დებულებისა და „ენების დიდაქტიკის კვლევითი ცენტრის“ შექმნის შესახებ საკითხის განხილვა, ასევე „აუტიზმის

ცენტრის“ დებულების და „ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის“ დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

8. მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, გ. მენაბდის განცხადების განხილვა სამედიცინო რადიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე და შინაგანი მედიცინის მიმართულებით ერთი სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ;
9. სპორტის ფაკულტეტის დეკანის, დარეჯან ქობელაშვილის განცხადების განხილვა „სპორტული ტურის დებულების“ დამტკიცებასთან დაკავშირებით;
10. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინება სპორტის ფიზიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, გიორგი ზუბიტაშვილისათვის (სადოქტორო თემა: ,,ძიუდოისტთა სპორტული ფუნქციონირების პარამეტრები“) სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის შესახებ;
11. ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მ/შ მიხეილ ბატიაშვილის წინადადების განხილვა ამავე ფაკულტეტზე არსებული პროგრამის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტის მოდულის საინჟინრო ფაკულტეტზე გადატანისა და ასევე სამაგისტრო, სადოქტორი და საბაკალავრო პროგრამების „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“, „სადაზღვევო საქმე“ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გადატანის შესახებ;
12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით ერთი სრული პროფესორის, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის და ჟურნალისტიკის მიმართულებით სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება;
13. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის განხილვა და დამტკიცება;
14. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე „ახალი თანამედროვე ქართული თეატრის კვლევითი ცენტრის“ შექმნის საკითხის, ასევე დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად;
15. ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის გიდის“ სასერტიფიკატო პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

16. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების „თეატრალური ხელოვნება“ (major/minor) და “მულტიმედიური სცენოგრაფია” (major/minor) განხილვა და დამტკიცება;
17. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი ექვსი სამაგისტრო პროგრამის განხილვა და დამტკიცება: 1. ფსიქიკური ჯანმრთელობა; 2. ფილოსოფია; 3. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ბუნებათსარგებლობა MBA, ბუნებათსარგებლობა MSC, სატყეო მეცნიერება, ტყის რესურსების მდგრადი მართვა); 4. ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია); 5. გამოყენებითი გენეტიკა; 6. გამოყენებითი ენათმეცნიერება;
18. საინჟინრო ფაკულტეტის შემდგეგი ოთხი სამაგისტრო პროგრამის განხილვა და დამტკიცება; 1. თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება; 2. პროგრამული ინჟინერია; 3. კომპიუტერული გრაფიკა; 4. საზღვაო კვლევები;
19. სამართლის ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
20. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის განხილვა და დამტკიცება;
21. აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე დამტკიცებულ „სტუდენტის მარეგულირებელ წესში“ ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
22. მკვლევართა ეთიკის დებულების განხილვა და დამტკიცება;
23. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის №60 სხდომაზე დამტკიცებულ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესში“ ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
24. მანანა ტურიაშვილის მიერ მომზადებული წიგნის „მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციები - ზაფხულის ღამის სიზმარი“ უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემის საკითხის განხილვა და დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით აფრასიძე - სხდომის მდივანი;

3. მაია როგავა;
4. მარინე ჩხიკვიშვილი;
5. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 28 მაისის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ჟანა ეხვაიას სადოქტორო ნაშრომისათვის შეიქმნას სდისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: დავით თარხნიშვილი - თავმჯდომარე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი), რევაზ სოლომონია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი), შალვა სიხარულიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი). ხოლო რეცენზენტების შემადგენლობა განისაზღვროს - ვაჟა გოცირიძით (დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი) და თენგიზ ბერიძით (პროფესორი, დოქტორი, აკადემიკოსი, თავისუფალი უნივერსიტეტი);
2. **დამტკიცდეს -** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიოქიმიისა და ნეირობიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ლელა ჩილაჩავასათვის სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: რევაზ სოლომონია -თავმჯდომარე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი), დავით მიქელაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი), ნინო ნაცვლიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), თამარ ლორთქიფანიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი), ხოლო რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით - ლალი შანშიაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) და მანანა გუგუშვილი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფსორი);
3. **დადგინდეს** - ვინაიდან არ დგინდება, თუ რა პროგრამაზე სასაწავლებლად სურს ვადიმ ლისოვსკის პოლონეთში გამგზავრება, უარი ეთქვას მგზავრობის ხარჯების დაფინანსებაზე;

4. **დადგინდეს** - შეიქმნას სამართლის ფაკულტეტზე „კონსტიტუციური კვლევების ცენტრი“ და „ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების ცენტრი“, მოწონებულ იქნას ამავე ცენტრების დებულებები და საკითხი დასამტკიცებლად წარდეგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
5. **დადგინდეს** - შეიქმნას ბიზნესის ფაკულტეტზე „ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისი“ და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს;
6. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი ანალიზური ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა;
7. **დადგინდეს** - შეიქმნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში „პიროვნული კომუნიკაციური რესურსების ცენტრი“ და „ენების დიდაქტიკის კვლევითი ცენტრი“, მოწონებულ იქნას ამ ცენტრების დებულებები, ასევე მოწონებულ იქნას „აუტიზმის ცენტრის“ და „ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის“ დებულებები და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

8. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისათვის სამედიცინო რადიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე და შინაგანი მედიცინის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა;
9. **დამტკიცდეს** - წარმოდგენილი სახით სპორტის ფაკულტეტის „სპორტული ტურის დებულება“;
10. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სპორტის ფიზიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, გიორგი ზუბიტაშვილისათვის (სადოქტორო თემა: ,,ძიუდოისტთა სპორტული

ფუნქციონირების პარამეტრები) შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: დარეჯან ქობელაშვილი თავმჯდომარე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), მარინე ჩხიკვიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რუსუდან მირცხულავა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), ხოლო რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით; მარინე ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), ლელა აფციაური (უნივერსიტეტი გეომედი, ასოცირებული პროფესორი), ჰამლეტ რაზმაძე (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი).

11. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წინადადება და შემოდგომის სემესტრიდან საინჟინრო ფაკულტეტზე გადავიდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდული, ხოლო სამაგისტრო, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ და „სადაზღვევო საქმე” გადავიდეს ასევე შემოდგომის სემესტრიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე. რექტორის, პროფ. გიგი თევზაძის რეკომენდაციით კი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მიმდინარე პერიოდიდან გადავიდეს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და ასოცირებული პროფესორი თენგიზ ვერულავა;
12. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ეკონომიკის მიმართულებით ერთი სრული პროფესორის, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების მიმათულებით ასისტენტ-პროფესორის და ჟურნალისტიკის მიმართულებით სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობებზე. შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს აკადემიურმა საბჭომ ან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტმა;
13. **დადგინდეს** - დაუბრუნდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოდგენილი აკადემიური კალენდარი და მიეცეს მითითება, რომ საშობაო არდადეგების ათვლა დაიწყონ 25 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით,

აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდეს ახალი აკადემიური კალენდრის წარმოდგენა შემდეგ აკადემიურ საბჭოზე.

14. **დადგინდეს** - შეიქმნა**ს** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე „ახალი თანამედროვე ქართული თეატრის კვლევითი ცენტრი“, მოწონებულ იქნას დებულება თანდართული სახით და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

15. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის გიდის“ სასერტიფიკატო პროგრამა;

16. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები „თეატრალური ხელოვნება“ და ,,მულტიმედიური სცენოგრაფია“;

17. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი ექვსი სამაგისტრო პროგრამა: 1. ფსიქიკური ჯანმრთელობა; 2. ფილოსოფია; 3. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ბუნებათსარგებლობა MBA,ბუნებათსარგებლობაMSC, სატყეო მეცნიერება, ტყის რესურსების მდგრადი მართვა); 4. ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია); 5. გამოყენებითი გენეტიკა; 6. გამოყენებითი ენათმეცნიერება;

18. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს საინჟინრო ფაკულტეტის შემდეგი 4 სამაგისტრო პროგრამა: 1. თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება; 2. პროგრამული ინჟინერია; 3. კომპიუტერული გრაფიკა; 4. საზღვაო კვლევები, ასევე

მიეცეს ფაკულტეტს რეკომენდაცია, განიხილოს ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამა ,,არქიტექტურისათვის“ სახელწოდების შეცვლის საკითხი “მწვანე არქიტექტურად“;

19. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს სამართლის ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა;

20. **დამტკიცდეს** - გაუქმდეს 2008 წლის 23 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №23 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ და დამტკიცდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“, ვინაიდან აღნიშნული სტანდარტი მეტად ვრცელია, დაევალოს ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურს მისი მაქსიმალურად გამარტივება;

21. **დამტკიცდეს** - წარმოდგენილი სახით აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე დამტკიცებულ „სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელ წესში“ ცვლილებები;

22. **დამტკიცდეს** - დამტკიცდეს ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულება თანდართული სახით, აკადემიური საბჭოს წევრებს ეთხოვოთ, წარმოადგინონ კანდიდატურები მკვლევართა ეთიკის კომიტეტის შესაქმნელად;

23. **დამტკიცდეს** - თანდართული სახით აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის №60 სხდომაზე დამტკიცებულ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესში“ ცვლილებები;

24. **დადგინდეს** - დაევალოს უნივერსიტეტის გამომცემლობას, დაბეჭდოს და გამოსაცემად მოამზადოს მანანა ტურიაშვილის მიერ მომზადებული წიგნი „მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიციები - ზაფხულის ღამის სიზმარი“.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

დავით აფრასიძე